

ხმა საქართველოდან

(წერილი უთარიღა, ის 1883 ან 1884 წელს უნდა იყოს დაწერილი, ხელნაწერის მიხედვით დაიბეჭდა ი. გოგებაშვილის თხზულებათა პირველ ტომებში, 1952-1955 წლებში)

მხოლოდ წელიწადზე ცოტა მეტმა განვლო, რაც კავკასიაში ჩამოვიდა საქართველოს ახლანდელი ეგზარქოსი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესი პავლე, მაგრამ ამ მოკლე დროის განმავლობაში მან მოასწრო გაემართლებინა მოსკოვის ერთ-ერთი გაზეთის ის პესიმისტური წინასწარმეტყველება, რომელიც გაზეთმა გამოთქვა ამ მაღალ პოსტზე მიდი დანიშვნის გამო. ახალმა ეგზარქოსმა ისე ცხადად გამოავლინა თავისი ტომობრივი განკერძოებულობა, რომელიც განსაკუთრებით განსაცვიფრებელი და არასასიამოვნოა ეკლესიის უმაღლესი მსახურის მხრივ და მოგვცა ქართველთა ელემენტარული უფლებების მიმართ უპატივცემულობის იმდენი აშკარა საბუთი, რომ გამოიწვია ქართულ საზოგადოებაში საყოველთაო განცვიფრება და გულისწყრომა, თუმცა ის პირველად არ ხედავს თავის წრეში მწუხარებით მოსაგონარ მაგნიციკის მსგავს მოღვაწეებს.

ქართული ეკლესიის ნაძალადევად გარუსების სისტემამ, რომელიც დამყარდა მიმდინარე საუკუნის დასაწყისში, სხვათა შორის, მიკროსკოპულ მოცულობამდე შეავიწროვა ქართველთა სამსახურეობრივი უფლებანი. ამ სისტემის წყალობით ქართველებს აკრძალული აქვთ იოცნებონ არა მარტო ეგზარქოსის მაღალ პოსტზე, არამედ სასულიერო სემინარიის რექტორისა და ინსპექტორის თანამდებობაზედაც კი. მაგრამ ამ სისტემის მიხედვითაც შეუძლებელი იყო ქართული ელემენტების განდევნა ისეთი მესამე ხარისხოვანი თანამდებობებიდან, როგორცაა სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველობის ადგილები. საქართველოს ახლანდელმა ეგზარქოსმა სწრაფად და მოურიდებლად უფრო შორს გადაადგა ნაბიჯი და თავისი ჩამოსვლის პირველ დღეებიდანვე მიზნად დაისახა ყველა ქართველი ზედამხედველის გადაყენება და მათი შეცვლა რუსებით. მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის პავლეს ამ მისწრაფებამ, რომელიც ყველასთვის ცნობილი გახდა, პირადი ინტერესების ნიადაგზე ახლანდელი ზედამხედველებით უკმაყოფილო პირთა შორის გააღვიძა ცუდი, დაბალი ინსტიქტები, წააქეზა ისინი ინტრიგებისთვის და საწინააღმდეგო მოქმედებისა და დაბეზებისთვის. ხელქვეითების მიერ უფროსებზე კონტროლიორების როლის მითვისებამ, როლების ამ არევამ გამოიწვია ქრონიკული უწესრიგობანი სასულიერო სასწავლებლებში, რომლებიც მშვიდობიანად ვითარდებოდნენ საქართველოს ყოფილ ეგზარქოსის მაღალყოვლადუსამღვდელოესობის იოანიკის ტაქტიკური და გონივრული მმართველობის დროს. ახლა კი ის დაემსგავსა წყალს, რომელიც განსაკუთრებული გულმოდგინებით იმღვრევა რაღაც შავი მიზნებისათვის. ეგზარქოსის წინადადებით სასულიერო სასწავლებლების რევიზია ზედიზედ ტარდება, მაგრამ ეს რევიზიები აუარესებს რა სასწავლებლების მდგომარეობას და აშორებს რა სემინარიის დამრიგებლების ყურადღებას თავიანთი პირდაპირი მოვალეობების ასრულებას, გადაკიდების საშუალებით აღწევს წინასწარ განზრახულ თავის მიზანს: ქართველ ზედამხედველების დათხოვნას. თბილისის, თელავის და სამეგრელოს სასულიერო სასწავლებლების ზედამხედველები უკვე დათხოვნილნი არიან და შეცვლილი რესურსებით;

სხვა ზედამხედველების მდგომარეობაც შერყეულია და ყველაფერი მზადაა მათ დასათხოვნად.

ქართველი ზედამხედველების დევნა, როგორც მეტად უტაქტო მოქმედება წარმოადგენს განსაკუთრებულ უსამართლობას იმ გარემოების გამო, რომ ახლანდელი ზედამხედველები, გარდა თითო ოროლა გამონაკლისისა, არიან ნიჭიერი, საქმიანი და უანგარო პირები, რომლებიც ენერგიულად და გონივრულად განაგებენ მათდამი რწმუნებულ სასწავლებლებს, მიუხედავად აუარებელ დაბრკოლებათა, რომელნიც წარმოშობილია ქართული სასულიერო სასწავლებლების მიმართ რუსული წესდების სრულიად შეუცვლელად გამოყენების გამო. ასეთი შემავიწროებელი მდგომარეობის დაბეჯითებითი მოთხოვნის შესაბამისად ისეთმა კომპეტენტურმა მსაჯულმა, როგორც არის ყველა თანამედროვე რუს პედაგოგთა შორის უნიჭიერესი პედაგოგი ბ. მიროპოლსკი, რომელმაც, როგორც უწმინდეს სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტის წევრმა, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობის პავლეს ქართულ კათედრაზე გადმოყვანის წინ მოახდინა ქართული სასულიერო სასწავლებლების რევიზია, უდიდესი ქებით მოიხსენია ყველა ზედამხედველი და დააყენა ისინი რუსულ სასულიერო სასწავლებელთა ზედამხედველების გვერდით... კიდევაც რომ სუსტნი აღმოჩენილიყვნენ ქართველ ზედამხედველები, საჭირო იყო მათი შეცვლა უფრო ნიჭიერი სასულიერო აკადემიადამთავრებული ქართველებით, რომლებიც ჩვენში ცოტა როდია, და არა რუსებით, რომელთათვის უცხოა ქართველი ხალხის ენა, ისტორია და ზნე-ჩვეულებანი და არ ძალუძთ უთარჯიმნოთ ესაუბრონ სასწავლებლებში ახლადმიღებულ მოსწავლეებს და რუსული ენის უცოდინარ მათს მშობლებს, არ შეუძლიათ აგრეთვე კონტროლი გაუწიონ ქართული ენისა საეკლესიო-ქართული ენის სწავლებას. ადგილობრივ საერო სასწავლო მთავრობასაც კი, რომელიც აგრეთვე შეპყრობილია გარუსების მანიით, სამართლიანად და მეტად სასარგებლოდ მიაჩნია კავკასიის თითქმის ყველა საქალაქო სასწავლებლის სათავეში ჰყავდეს ქართველები, რომლებითაც ის სავსებით კმაყოფილია.

სამწუხაროდ, მაღალყოვლადუსამღვდელოესმა პავლემ მოგვცა შეუწყნარებლობის სხვა საბუთებიც. ბ. მიროპოლსკის რევიზიის შემდეგ უწმინდესმა სინოდმა გასცა განკარგულება, რათა თბილისის სასულიერო სემინარიაში ესწავლებინათ ქართული სასულიერო და საერო ლიტერატურა. ეს მოხდა იმ მიზნით, რომ რამდენიმედ მაინც შემცირებულიყო სემინარიასა და სასულიერო სასწავლებლებში ყველა საგნის რუსულ ენაზე სწავლებიდან გამომდინარე ბოროტება და მიეცათ შესაძლებლობა მოსწავლეებისთვის იმდენად დაუფლებოდნენ ქართულ ლიტერატურულ ენას, რომ ცოტად თუ ბევრად, თავისუფლად ექადაგათ ღვთის სიტყვა ქართველი ხალხისთვის, რომელიც მიმდინარე საუკუნეში სრულიად გადაეჩვია ქადაგების მოსმენას თავის მოძღვართაგან, რომლებიც დაჩლუნგდნენ და დამახინჯდნენ ბერძნულ-ლათინურ-სლავურ სემინარიაში. მაღალყოვლადუსამღვდელოესმა პავლემ ისე დაუფიქრებლად განმარტა ეს განკარგულება, რომ არსებითად გამოვიდა უწმინდესი სინოდის აზრის მიმართ პირდაპირ დაცინვა. მის სურვილით და დასტურით შემოიღეს ქართული ლიტერატურის ისტორიის მხოლოდ ჩონჩხის სწავლება და ისიც რომელ ენაზე? არა ქართულზე, არამედ რუსულზე და თხზულებებსაც ამ საგანში მოსწავლეები წერენ აგრეთვე რუსულად ისეთ მოგონილ და თითქოს ქართულ-ლიტერატურულ თემებზე, როგორცაა კატის აღწერა. აი საღი აზრის როგორ დამახინჯებამდე და უმაღლესი მთავრობის

გონივრული და მიზანშეწონილი განკარგულების როგორ აბუჩად აგდებამდე მივყავართ ყოველივე ქართულის ბრმა აუტანლობას! მაგრამ ამითაც არ დაკმაყოფილდნენ. რომ საბოლოოდ დამდაბლებულიყო მოსწავლეთა წარმატება ქართულ ენაში, გაიცა განკარგულება, რომლის შესაბამისად ქართული ენის გაკვეთილების სწავლება არ არის სავალდებულოდ აღიარებული ქართველ მოსწავლეთათვის; ამ განკარგულებით, უფროსობის გასახარებლად, უკვე ისარგებლა ზოგიერთმა მოსწავლემ, რომლებიც მიხვდნენ, რომ ეს საუკეთესო საშუალებაა უფროსების გულის მოსაგებად.

ამგვარად, იმ დროს, როცა ქართველი ხალხის მომავალ მომღვართათვის სავალდებულოდ და საჭიროდ არის ცნობილი, მაგალითად, ისეთი ენების ცოდნა, როგორცაა ლათინური და ფრანგული ენები, „მოამაგე“ უფროსები ყოველნაირად ცდილობენ აარიდონ ისინი ყველაზე აუცილებელი ენის - ქართულის სწავლებას. ყველასათვის ნათელია, რომ საქართველოს ახლანდელი ეგზარქოსი არამც თუ თვითონ არ ზრუნავს მისადმი რწმუნებული სამწყსოს სულიერ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, არამედ წინ ეღობება უმაღლესი სასულიერო მთავრობის ოდნავ ზრუნვასაც კი.

ასეთივე ანტიქართული მიმართულება აშკარაა ვხვდებით სხვა ფრონტებზეც. ერთი თვის წინათ ჩვენში გარდაიცვალა კათედრალური დეკანოზი ქართველი პავლიაშვილი. დაუყოვნებლივ შემოვიდა აუარებელი თხოვნა დამსახურებულ დეკანოზებისაგან, მღვდელებისგან და ისეთ პირთაგან, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი აკადემიური განათლება და სურდათ დაეკავებინათ ვაკანტური ადგილი. მაგრამ ყველამ მიიღო აცილება შეურაცხმყოფელ ფორმებშიაც კი. ვერავინ ვერ გაიგო, თუ რას ნიშნავდა ასეთი კატეგორიული უარი. პესიმისტებს ეჭვი შეეპარათ, რომ ეგზარქოსს სურს გამოიწეროს რუსეთიდან რომელიმე თავისი პროტყე. მაგრამ ეს ეჭვი არავის არ სურდა დაეჯერებინა, ვინაიდან ყველას სრულიად შეუძლებლად თვლიდა ქართულ კათედრალურ საკრებულოში დაეკავებინა მთავარი ადგილი ისეთ პირს, რომელიც ვერ შეძლებდა ქართულად ეწირა, ექადაგა თავის სამწყსოსათვის, ან მიეღო თავის ქართველ მრევლთაგან აღსარება. მაგრამ შეუძლებელი სხვებისათვის, ადვილი შესასრულებელია ჩვენი გაბედული არქიმოდვრისათვის, რომელიც ქრისტიანულ წესს: არ მოხდეს გარჩევა იუდეველებისა და ელინებს შორის, უკუღმართად განმარტავს. ის დაბეჯითებით აძლევდა წინადადებებს რამდენიმე რუს მასწავლებელს დაეკავებინათ კათედრალური დეკანოზის ადგილი, მაგრამ ისინი იმდენად კეთილგონიერნი აღმოჩნდნენ, რომ უარყვეს თავისი მეუფის წინადადება და ამით ჯერ-ჯერობით ჩაფუშეს მისი გეგმა...

ამგვარად, მიმდინარე საუკუნის დასაწყისიდან ქართველებს გადაჭრით აეკრძალათ ეოცნებათ არა მარტო ეგზარქოსის პოსტის შესახებ არამედ სემინარიის რექტორისა და ინსპექტორის თანამდებობაზეც, ხოლო უკანასკნელად მეტად გამწვანდა მათთვის სემინარიაში მასწავლებლების თანამდებობაც კი; ამჟამად სემინარიის 16 დამრიგებელიდან მხოლოდ ორია ქართველი და მათაც ითმენენ გამონაკლისის სახით და პირობით - იყვნენ წყალზე უფრო ჩუმი, ბალახზე დაბალი და იყვნენ უტყვი მოწმენი ყოველივე ქართულის უგულვებელყოფისა. ამიერიდან მოწყალეებრივად ნაბრძანებია ქართველებმა არ იქონიონ

იმედი სასულიერო სასწავლებლებში ზედამხედველობის თანამდებობათა მიღებისა და ძველი სიონის საკრებულოში კათედრალური დეკანოზის ადგილის დაკავებისა.

1) ცუდია ის ჯარისკაცი, რომელსაც არ აქვს იმედი გახდეს გენერლად, ამბობს ერთი ბერძნული თქმულება, მაგრამ სასულიერო წოდების ქართველებს აკრძალული აქვთ იფიქრონ არა მარტო გენერლობაზე, არამედ ოფიცრობის შესახებაც კი. ყველასთვის ადვილი გასაგებია, თუ როგორ მძიმე ლოდად ადევს გულზე თითოეულ ქართველს ასეთი უუფლებობის შეგნება, რომლებიც ადუნებს ქართველების გონებრივ და ზნეობრივ ძალებს. კიდევ უფრო ადვილი გასაგებია, რომ ასეთი საქციელი მოაკლებს ქართულ ეკლესიას ცოტად თუ ბევრად მის უნარიან შვილთა დახმარებასა და ხელის შეწყობას და მიიყვანს მას საბოლოო დაცემულობამდე.

2) ამ უუფლებობის, ამ ბატონყმობის, ამ მონობის სიმწვავე ძლიერდება იმ გარემოებით, რომ საქართველოს გვერდით არსებული სომხური ეკლესია სარგებლობს სრული დამოუკიდებლობით: თვითონვე ირჩევს თავის მეთაურს პატრიარქ-კათალიკოსს რომელსაც ყოველთვის ამტკიცებს რუსეთის მთავრობა; სომხეთს ჰყავს ეროვნული ეპისკოპოსები, თვითონ მრევლის მიერ არჩეული მღვდლები; აქვს ეროვნული სასულიერო აკადემია, რომელიც ყოველ წელიწადს ათობით უშვებს განათლებულ აკადემიკოსებს, სახალხო სასულიერო სემინარიები, სადაც, გარდა რუსული ისტორიისა, გეოგრაფიისა და ლიტერატურისა, რომელიც ისწავლება რუსულ ენაზე, ყველა საგნის სწავლება სწარმოებს სომხურ ენაზე სადაც უფროსებისა და დამრიგებლების თანამდებობანი უკავით სომხებს, რომლებიც ამზადებენ სახალხო მოძღვართ სომეხი ხალხისთვის, ე.ი. სარგებლობს ყველა იმ სიკეთით, რომლითაც სარგებლობდა ქართული ეკლესია, სანამ ის დაექვემდებარებოდა უწმინდეს სინოდს. თვითონვე უნდა ნახოთ, თუ რა დიდი სიცოცხლე, აღფრთოვანება და ენერგია შეაქვს სომხების ცხოვრებაში ეკლესიის ამ სწორუფლებიანობას, ამ საარჩევნო საწყისს, ეკლესიისა და სასულიერო სასწავლებლების ამ ნაციონალიზაციას, ყველა უნარიან სომხისათვის ფრთების შემსხმელ იმედს, მიაღწიოს საეკლესიო იერარქიის ყველაზე უმაღლეს საფეხურს. რომ შეიგნოთ საქართველოს ეკლესიის მომაკვდინებელი ბიუროკრატიული მმართველობით გამოწვეული ბოროტების მთელი სიღრმე, რომლის მიხედვით ეგზარქოსად ინიშნება ხუთი ათასი ვერსის მანძილს იქით მცხოვრები პირი, რომელსაც არაფერი არ აქვს საერთო თავის სამწყსოსთან არც ენით, არც ხასიათით და ზნე-ჩვეულებებით, და არც ისტორიული მოგონებებით, პირი, რომელიც განაგებს საქმეებს კანცელარიული წესით, რომელიც მღვდლებს ნიშნავს მრევლის დაუკითხავად, რომელიც აშკარად ან ფარულად დევნის ქართველებს, მათ ენას და ყველა მათ ეროვნულ თავისებურებას, რომელიც აზვიადებს მათ ნაკლოვანებებს, ვერ ამჩნევს მათ ღირსებას, ცდილობს ნამალადევად გაარუსოს ისინი, დევნის ქართულ ელემენტს სასულიერო სასწავლებლიდან და სასულიერო სფეროდან, გზას უღობავს ქართველებს უმაღლესი განათლების მიღებისაკენ, რაც ყველას მძიმე ბოღმად აწევს და ეპყრობა თავის მრევლს არა როგორც მშობლიური, მოსიყვარულე მამა, არამედ როგორც უკეთური მამინაცვალი.

მწვავე და მძიმეა ყველა ქრისტიანისათვის იმაზე ფიქრი, რომ საქართველოს სახელოვანი ეკლესია, რომელიც თავისი ავტონომიური უფლებებით სარგებლობს მთელი რიგი

საუკუნეების განმავლობაში ასულდგმულებდა ქართველ ხალხს ღრმა რელიგიური გრძნობით, შექმნა მდიდარი სასულიერო ლიტერატურა (მარტო მცხეთის ბიბლიოთეკა შეიცავდა შვიდი ათასდ ტომს), დაფარა საქართველო მრავალრიცხოვან სამრევლოს სკოლების ქსელით, რომელთა დაარსებას ფორმალურად კისრულობდა მრავალრიცხოვან ქართველ ეპისკოპოსებიდან თითოეული მათგანი უმაღლესი სასულიერო წოდების მიღებისას, გაავრცელა სახარების შუქი კავკასიის მთელ ხალხთა შორის და შეზღუდა სომხეთის ეკლესიის გავლენა სომხეთის ვიწრო ფარგლებით, უწმინდესი სინოდისა და რუსი ეგზარქოსების ცენტრალურ-ბიუროკრატიული მმართველობის მოკლე პერიოდში დაკარგა თავისი დიდება, მთელი თავისი შინაგანი ძალები, გააუქმა საეკლესიო ქადაგება, სასულიერო ლიტერატურა; ამ საუკუნის განმავლობაში ქართულ ენაზე სასულიერო შინაარსის ხუთი წიგნიც კი არ დაბეჭდილა; ქართულ ენაზე მარტო ბიბლიის ბეჭდვის დაწყებას მოუწია მთელი ოთხმოცი წელიწადი, დახურა ყველა სამრევლო სკოლა, შეაიარაღა ქართველი ხალხი სასულიერო მთავრობის მიერ დამახინჯებულ მმართველობის ნიადაგზე გამოწვეული შურისძიებით. ამ შურისძიებამ, რომელიც ყველას თვალში ხვდება, და დადასტურებულია ორი წლის წინათ მღვდელ-მთავრებისა და მაზრის უფროსების ერთსულოვანი მოხსენებებით, მიაღწია უმაღლეს განვითარებას; ძნელი გახდა რელიგიური გრძნობების შენარჩუნება ქართველ ხალხში, რომელიც იძირება კერპთაყვანისმცემლობაში.

დაიხ, ბოროტება, რომელიც ვერ მიაყენეს საქართველოს მისმა ულმობელმა მტრებმა ათასხუთასი წლის განმავლობაში, მიაყენეს ერთ საუკუნეზე უფრო ნაკლები დროის მანძილზე მისმა თანამორწმუნე მეგობრებმა, რომელითაც ის მთლიანად მიენდო თავისი ნებით.

რატომ ვისჯებით? ეკითხებიან თავიანთ თავს ქართველები და აგრეთვე ერთხმად უპასუხებენ: ერთმორწმუნეობისა და უსაზღვრო ერთგულებისათვის... საჭიროა ამ კითხვასა და პასუხს ღრმად ჩაუკვირდეს მოწინავე რუსი საზოგადოება და შორსმჭვრეტელი სახელმწიფო ადამიანები, რომლებმაც დროა სერიოზული ყურადღება მიაქციონ და გულგრილად არ შეურიგდნენ ქართველთა განიარაღებას არსებობისათვის ბრძოლაში, ეროვნულ ძალთა მოდუნებასა და დამონებას; მათ დასაშვებად მიაჩნიათ დასუსტდეს და დაეცეს რუსთის ერთმორწმუნე ხალხი, რომელიც გახდა დასაყრდენი რუსეთის ბატონობის დამყარებისა კავკასიის ყელზე, რომელიც წარმოადგენს მის ურყევ ზღუდეს, რომელიც, მიუხედავად აშკარა შეცდომებისა და უსამართლობისა, იმდენად ერთგულია რუსეთისა, რომ ყოველივე უცხო სახელმწიფოს მოუხდებოდა ამოეჟლიტა ნახევარი ქართველობა, რომ დაემყარებინა თავისი ხელისუფლება მეორე ნახევარზე...

ჩვენ მივმართავთ რუს სახელმწიფო ადამიანებს იმისათვის, რომ სრულიად უიმედოდ მიგვაჩნია ვუხმით უწმინდეს სინოდს. თითქმის საუკუნის განმავლობაში მან არ მოისურვა სერიოზულად განეხილა ის ცხადი ჭეშმარიტება, რომ მართლმორწმუნეობა, რომელიც აერთებს ქართველებს რუსეთთან განუწყვეტელი ძაფებით თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ისე შეასისხლხორცა მათს ენასა და ნაციონალურ თავისებურებებს, რომ უკანასკნელთა დასუსტება უსათუოდ გამოიწვევს პირველის მოდუნებას, ხოლო მართლმადიდებლობის მოდუნებას მოყვება დასუსტება ზნეობრივი ძმური კავშირისაც, რომელიც აერთიანებს

ქართველებს ერთმორწმუნე რუსებთან, და რომ ასეთი მოქმედებით მძიმე დამნაშავენი ვიქნებით არა მარტო ღმერთისა და ხალხის წინაშე, არამედ სახელმწიფოს წინაშეც.

უწმინდესი სინოდის მიერ დანიშვნა ეგზარქოსის პოსტზე მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესი პავლესი, რომლის მიმართულებას ალბათ, ისიც კარგად იცნობდა, აშკარად ადასტურებს, რომ, სამწუხაროდ, მას არ აქვს განზრახვა უარი სთქვას საქართველოს ეკლესიის მართვის დამღუპველ სისტემაზე. ამ შემთხვევაშიც, აღელვებული ქართველი საზოგადოების დამშვიდების მიზნით უწმინდესი სინოდი უსათუოდ დაკმაყოფილდება რაიმე პატარა პოლიატივით, როგორცაა ახლანდელი აუტანელი ეგზარქოსის გაწვევა, ან ქართული ენის გაკვეთილების გადიდება, მაგრამ ის ბოროტების თავიდან ასაცილებლად, რომელიც ერთნაირად მავნებელია როგორც საქართველოსათვის, ისე რუსეთისათვის, საჭიროა გადამწყვეტი ზომის მიღება, რომელიც მთლიანად შეცვლიდა საქართველოს ეკლესიის მართვის სისტემას, გააუქმებდა იმ აშკარა ანომალიას რომლის მიხედვით მსოფლიოს ექვსი მართლმადიდებელ ქრისტიანულ საეკლესიო საკრებულოს მიერ სანქციონირებული ქართული ეკლესიის ავტონომიური მართვა შეიცვალა უწმინდესი სინოდის უბრალო კანცელარიული განკარგულებით...

აი, რატომ ამყარებს ქართველი საზოგადოება იმედებს თავისი სახელოვანი ეკლესიის აღორძინების საქმეში არა უწმინდეს სინოდზედ, არამედ უზენაეს ხელისუფლებაზე.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადეს:

ქ.დუმეთის #2 საჯარო სკოლის მოსწავლეებმა **სალომე რუხიაშვილმა**, **მაიკო ჭინჭარაშვილმა** და **ნუცა თანიაშვილმა**.